სიტყვების ამოკითხვა წყვილებში

გუნდებად დაყოფილი მოსწავლეები წინასწარ განსაზღვრულ დროში ამოიკითხავენ ბარათებზე დაწერილ სიტყვებს და მოძებნიან მათ წყვილებს დაფაზე.



კლასი: I-III

მუშაობის ფორმა: ჯგუფები, წყვილები.

რესურსი: სიტყვების სია/დიდი ზომის სიტყვის ბარათები, წამმზომი, დაფა და მაგნიტები/ცარცი.

მსვლელობა

- მასწავლებელი კლასს დაყოფს ორ გუნდად (პირობითად, A და B).
- მასწავლებელი წინასწარ შერჩეულ სიტყვის ბარათებს (ბარათების რაოდენობა 5-6 ცალით უნდა აღემატებოდეს მოსწავლეთა საერთო რაოდენობას) დააწყობს მაგიდაზე, ნაწერით ქვემოთ, დაფაზე კი გაფანტულად დაწერს იმავე სიტყვებს.
- მასწავლებელი დაინიშნავს დროს (თითოეული გუნდისათვის დაახლოებით 2-3 წუთს) და გამოიძახებს დაფასთან რიგრიგობით თითო წყვილს A გუნდიდან.
- ერთ-ერთი მეწყვილე აიღებს ერთ ცალ ბარათს, ამოატრიალებს და ხმამაღლა წაიკითხავს. წყვილის მეორე წევრმა სწრაფად უნდა მოძებნოს ამოკითხული სიტყვა დაფაზე ჩამოწერილ სიტყვებში და შემოხაზოს.
- ამის შემდეგ წყვილი უბრუნდება თავის ადგილს და მათ ჩაანაცვლებს A გუნდიდან მეორე წყვილი, რომელიც ასრულებს იმავე დავალებას. ასე გრძელდება A გუნდისთვის განკუთვნილი დროის ამოწურვამდე.
- მოგვიანებით იმავე პროცედურას ასრულებს B გუნდი.
- დროის ამოწურვის შემდეგ მასწავლებელი დაითვლის ორივე გუნდის მიერ სწორად შემოხაზული სიტყვების რაოდენობას და გამოავლენს გამარჯვებულს.
- თამაშის დასრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად მსჯელობს თამაშის პროცესის შესახებ (რა მოეწონათ და რატომ; რა არის საჭირო ამ თამაშში წარმატების მოსაპოვებლად და სხვ.).